„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლადო ასათიანი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * მარტი. 2024 * (1)94

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბესიკ ბერიძე) მიერ გასული წლის 19 დეკემბრის N 38 დადგენილებით დამტკიცებული იქნა ასპინძის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი. დაინტერესებულ მკითხველს ვთავაზობთ ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებს:

ასპინძის მუნიციპალიტეტის შემოსავლები

განსაზღვრულია ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები **15 525,5** ათასი ლარის ოდენობით.

	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1	შემოსავლები	10 615,3	15 805,1	4 578,0	11 227,1	15 525,5	5 326,4	10 199,1
11	გადასახდელები	4 607,8	7 996,1	0,0	7 996,1	9 412,4	0,0	9 412,4
13	გრანტები	5 089,6	7 003,0	4 578,0	2 425,0	5 503,1	5 326,4	176,7

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განსაზღვრულია ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები **9 412,4** ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	კოდი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	11	4 607,8	7 996,1	0,0	7 996,1	9 412,4	0,0	9 412,4
ქონების გადასახადი	113	3 191,8	2 896,6	0,0	2 896,6	3 000,0	0,0	3 000,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	2 985,2	2 658,7		2 658,7	2 963,0		2 963,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113112	0,0	0,0			0,0		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	1,4	2,2	0,0	2,2	0,0	0,0	0,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	154,2	183,5	0,0	183,5	30,0	0,0	30,0
ფიზიკურ პირებიდან	1131141	98,2	105,3		105,3	25,0		25,0
იურიდიულ პირებიდან	1131142	55,9	78,3		78,3	5,0		5,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	51,1	52,2	0,0	52,2	7,0	0,0	7,0
ფიზიკურ პირებიდან	1131151	2,9	3,9		3,9	2,0		2,0
იურიდიულ პირებიდან	1131152	48,2	48,4		48,4	5,0		5,0
სხვა გადასახადები ქონებაზე	1136	0,0	0,0			0,0		
სხვა გადასახადები (დ.ღ.გ)	116	1 416,0	5 099,4		5 099,4	6 412,4		6 412,4

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განსაზღვრულია ასპინძის მუნიციპალიტეტის გრანტები **5 503,1** ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	კოდი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	13	5 089,6	7 003,0	4 578,0	2 425,0	5 503,1	5 326,4	176,7
სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	0,0	35,0		35,0	0,0		0,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	5 089,6	6 968,0	4 578,0	2 390,0	5 503,1	5 326,4	176,7
სპეციალური ტრანსფერი	1332	0,0	1 700,0		1 700,0	0,0		
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	319,0	957,3	267,3	690,0	534,7	358,0	176,7
გათანაბრებითი ტრანსფერი		0,0	0,0			0,0		
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		243,1	379,5	129,5	250,0	328,0	151,3	176,7
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად		76,0	577,8	137,8	440,0	206,7	206,7	
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	4 770,5	4 310,7	4 310,7	0,0	4 968,4	4 968,4	0,0
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი		4 476,5	4 016,7	4 016,7		4 174,4	4 174,4	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		294,0	294,0	294,0		294,0	294,0	
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი						500,0	500,0	

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განსაზღვრულია ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 610,0 ათ.ლარის ოდენობით:

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განსაზღვრულია ასპინძის მუნიციპალიტეტის ხარჯები 8 307,9 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

მუნიციპალიტეტის საჯიხებელოში

ამა წლის 9 თებერვალს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელმაც განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1.ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ასპინძის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ;

2. „ასპინძის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3. ასპინძის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების ანგარიშის შეფასების შესახებ;

4. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

5.დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ;

6.ასპინძის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე;

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ბერიძე.

მაკა ბერიძე

დასახელება	2022 წლის ფაქტი			2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	5 527,3	98,1	5 429,2	7 299,5	129,5	7 170,0	8 307,9	151,3	8 156,5
შრომის ანაზღა-ურება	1 860,7	0,0	1 860,7	2 093,8	0,0	2 093,8	2 314,3	0,0	2 314,3
საქონელი და მომსა-ხურება	985,5	98,1	887,4	1 336,7	129,5	1 207,1	1 513,0	151,3	1 361,7
პროცენტი	27,0	0,0	27,0	0,1	0,0	0,1	0,0	0,0	0,0
სუბსი-დიები	2 079,1	0,0	2 079,1	2 748,7	0,0	2 748,7	3 408,5	0,0	3 408,5
გრანტები	15,0	0,0	15,0	30,0	0,0	30,0	30,0	0,0	30,0
სოციალური უზრუნ-ველყოფა	335,9	0,0	335,9	623,4	0,0	623,4	598,1	0,0	598,1
სხვა ხარჯები	224,1	0,0	224,1	467,0	0,0	467,0	443,9	0,0	443,9

განისაზღვრა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 8 950,9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2022 წლის ფაქტი			2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერ	საკუთარი შემოსავლები
მმართვე-ლობა და საერთო დანიშ-ნულების ხარჯები	139,0	0,0	139,0	795,8	137,8	658,0	1 151,3	206,7	944,6
ინფრასტრ-უქტურის მშენებ-ლობა, რეაბილი-ტაცია და ექსპლო-ატაცია	4 034,6	3 353,7	680,8	6 067,2	4 521,4	1 545,8	6 540,2	4 635,6	1 904,6
დასუფ-თავება და გარემოს დაცვა	4,7	0,0	4,7	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
განათ-ლება	784,2	696,6	87,6	1 066,4	561,3	505,1	115,6	0,0	115,6
კულტურა, რელიგია, ახალგაზრ-დობის ხელშე-წყობა და სპორტი	364,8	324,0	40,9	482,6	115,3	367,3	1 153,3	535,2	618,1
მოსახ-ლეობის ჯანმრთ-ელობის დაცვა და სოცი-ალური უზრუნ-ველყოფა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,5	0,4	0,1
სულ ჯამი	5 327,3	4 374,3	952,9	8 412,0	5 335,8	3 076,2	8 960,9	5 377,9	3 583,0

ასპინძის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები

ასპინძის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების და ხიდების რეაბილიტაცია), მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია, ასპინძის ქუჩების გარე განათების მთლიანად დასრულება და არსებული ქსელის მოვლა-პატრონობა, ასევე დასუფთავების ღონისძიებები, სარწყავი არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია, აგრეთვე საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება, მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვრა 7 656,2 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები განისაზღვრა შემდეგი რედაქციით:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4 715,1	7 031,3	7 656,2
საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	2 804,5	4 653,4	4 772,1
კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1 305,1	1 353,3	1 821,7
წყლის სისტემების რეაბილიტაცია ექსპლუატაცია	748,4	477,5	190,6
გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	340,8	418,4	811,0
ა(ა)იპ გარე განათება	125,6	182,3	206,0
გარე განათების ექსპლუატაცია	215,1	236,1	605,0
სარწავი არების მოწყობა-რეაბილიტაცია	199,2	220,5	260,0
ბინათმშენებლობა	14,7	236,9	5,6
მდინარის ნაპირსამაგრი სამუშაოები	2,0	0,0	554,5
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	35,3	168,8	158,2
სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	570,3	855,8	904,2

წყლის სისტემების რეაბილიტაცია ექსპლუატაცია
(190,6 ათასი ლარი)

ასპინძის მუნიციპალიტეტში სასმელი წყალი ცენტრალიზებული ქსელებით მიეწოდება მოსახლეობის 85%-ს, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ წყალი მიეწოდება -დ. ასპინძას, სოფლებს: ოთას, ოშორას და იდუმალას (1582 ოჯახს). ასპინძის მუნიციპალიტეტის 9 სოფელს სასმელი წყალის მიწოდებას ზედამხედველობას და მომსახურეობას უწევს ა(ა) იპ ასპინძის მელიორაციის და სოფლების სასმელი წყლის ცენტრი. ემსახურება მასში მცხოვრებ 805 ოჯახს. სასმელი წყლის ქსელი მოწყობილია დაბის მთლიან ტერიტორიაზე. ასპინძის მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება მუნიციაპლიტეტის დასახლებულ ერთეულებში წყალმომარაგების და წყალარინების ქსელების მოწყობა-გაფართოება. ასევე სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა.

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია
(4 772,1 ათასი ლარი)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გენდერულად მგრძნობიარე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას, არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას, დაზიანებული გზებისა და საგზაო ნაგებობების (ხიდები, მილხიდები, გზების დამცავი კედლები და გაბიონები და სხვა) რეაბილიტაციას, ფეხით მოსიარულეთა ინფრასტრუქტურის განვითარებას (ტროტუარების, პანდუსებისა და ბორდიურების მოწყობა), გზების მოდინებული წყლის ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით კიუვეტების, ცხაურების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციას, საგზაო მოძრაობის ორგანიზების მიზნით საგზაო ნიშნების და მონიშვნების (მ. შ. ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები და სიჩქარის შემზღუდავი საშუალებები) მოწყობას. ასევე გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდას და სხვა.

გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია
(811,0 ათასი ლარი)

პროგრამა ითვალისწინებს ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარეგანათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარეგანათების ქსელის გამრთული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება.

პროგრამა ითვალისწინებს გარე განათების ქსელის გაფართოებას. ახალი ტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით გარე განათების LED სანათების მოწყობას, ასევე მოძველებული სანათების ახალი სანათებით ჩანაცვლებას. ღამის საათებში მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში ღამის განათების უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია. ღამის განათების ქსელებით უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის დასახლებული ერთეულების ცენტრალური უბნები და დ. ასპინძის ქუჩების, მოედნების და ღია სივრცეების 80%.

სარწყავი არხების და სოფლების სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია
(260, 0 ათასი ლარი)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, გრავიტაციული არხების წმენდითი სამუშაოები ნატანისაგან, დროებითი სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია, მილხიდების, დიუკერების, მოპირკეთებული წყალსატარების, სადერევაციო არხის წმენდა, სატუმბო სადგურების ძალოვანი აგრეგატების (ტუმბო, ძრავი) მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, ელექტროაღრიცხვის და ელ.მოწყობილობების მიმდინარე რემონტი, სადაწნეო ქსელებზე შესადუღებელი სამუშაოების წარმოება, წყალსაცავზე შემავსებელი და სამომხმარებლო გრავიტაციული არხების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, წყალსაცავის ტერიტორიის კეთილმოწყობა და სოფლების სასმელი წყლის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები

ბინათმშენებლობა
(5,6 ათასი ლარი)

განხორციელდება ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საცხოვრებელი კორპუსების და სხვა შენობების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია. ასევე სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლების მეპატრონეებისთვის სამშენებლო მასალის შეძენა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის მრავალსართულიანი კორპუსები, რომელებიც საჭიროებენ საძირკვლის გამაგრებას ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაციას. პროექტის ფარგლებში თანდათანობით განხორციელდეს დაბაში არსებული კორპუსების კეთილმოწყობა.

მდინარეების ნაპირსამაგრი სამუშაოები
(554, 4 ათასი ლარი)

იგი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მდინარეებზე კალაპოტების გამაგრებას, ეროზიისაგან, ნათესების და მოსახლეობის დაცვას ჭარბი წყლებისაგან.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები
(904, 2 ათასი ლარი)

სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესების მიზნით, მოსახლეობებთან შეხვედრების დროს მათი მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული იქნება საპროექტო დოკუმენტაციები სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

დასუფთავება და გარემოს დაცვა
(600, 0 ათასი ლარი)

მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ქუჩების, ასევე სოფლების, ტროტუარების, სკვერების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება, ნარჩენების შეგროვება და გატანა, რაც გააუმჯობესებს მუნიციპალიტეტის სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას.

განათლება
(1 549,0 ათასი ლარი)

განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმა სკოლამდელი განათლების დონეზე იწყება. მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო მიმართულება სრულ თანხვედრაში იქნება სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ რეფორმებთან. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები რეფორმირდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებად და დაიწყება განათლების ხარისხის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა, რათა მყარი საფუძველი ჰქონდეთ აღსაზრდელების სასკოლო განათლების მისაღებად მომზადებისთვის. სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზია, აღსაზრდელების უსაფრთხოება და საუკეთესო ინტერესების დაცვა. გაძლიერდება სტანდარტის შესრულების კონტროლი. გაგრძელდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ახლი ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებულის გაუმჯობესება.

აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად ამოქმედდება კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, დაიწყება აღმზრდელისა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიების განვითარება, პროფესიაში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა.

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელი განათლების განვითარებას. იგი მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ამ პროგრამის მიზანია სასკოლო განათლებისათვის ნორჩი აღსაზრდელების მომზადება, მათი ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა, შემოქმედებითი შესაძლებლობების და ინტერესების ხელშეწყობა.

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ასევე მოსწავლეთა ტრანსპორ-

ტირებით უზრუნველყოფას.

ა (ა) იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება
(1 300, 0 ათასი ლარი)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების კოორდინაცია: თანაბრად ხელმისაწვდომი და ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდება ყველა ბავშვისათვის; კვალიფიციური საგანმანათლებლო პერსონალი; სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამჟამად ფუნქციონირებს 5 საბავშვო ბაღი, მათ შორის 2 ასპინძაში, თითო სოფელ რუსთავსა და ტოლოშში. მუნიციპალიტეტის რიგი სოფლიდან ხორციელდება სკოლამდელი ასაკის ბავშვების უფასო ტრანსპორტირება ასპინძის საბავშვო ბაღებში.

ბაღების რეაბილიტაცია
(97, 6 ათასი ლარი)

პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების კეთილმოწყობა.

საჯარო სკოლები
(151, 3 ათასი ლარი)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები – მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების კეთილმოწყობა.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი
(2307,3 ათასი ლარი)

მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსებისათვის განისაზღვრა 2 307,3 ათასი ლარი.

სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა
(242, 5 ათასი ლარი)

ქვეპროგრამის ფარგლებში 2024 წლისათვის განხორციელდება შემდეგი სპორტული აქტივობები: მუნიციპალიტეტის პირველობა მინი-ფეხბურთში. ჭადრაკში, ნარდში. 3X3-ზე კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, კროსში, ფრენბურთში, ხელბურთში, მოეწყობა მხიარული სტარტები და სხვ.. მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისათვის პროექტით გათვლილია - სპორტული ინვენტარის შეძენა, სპორტული ღონისძიებebის სამსაჯო მომსახურეობის ხარჯები, სპორტულ ღონისძიებებისათვის სპორტული ფორმების შეძენა, მუნიციპალიტეტის მხრიდან სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებების ორგანიზებისათვის საჭირო სატრანსპორტო ხარჯები.

ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანება
(185. 0 ათასი ლარი)

ქვეპროგრამის მიზანია:

ა(ა)იპ - ასპინძის სასპორტო გაერთიანება - გაერთიანების ბაზაზე არსებული სპორტის სახეობათა განვითარება; კერძოდ: ფეხბურთის, რაგბის, ძიუდოს, მძლეოსნობის, ბ/რ ჭიდაობის, მშვილდოსნობის, კალათბურთის სექციების, სპორტული და გასართობი ღონისძიებების ორგანიზება; ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლების და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ხელშეწყობა; აღნიშნული სპორტის მასობრიობის და ხელმისაწვდომობის პირობების, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის ვარჯიშების ორგანიზებისა და შესაბამისი პირობების შექმნა და სხვ.

ა(ა)იპ სამცხე ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი ტაო
(105, 0 ათასი ლარი)

პროგრამის ფარგლებში შექმნილია სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი ,,ტაო“, რომლის მიზანია რაგბის, როგორც სპორტული, გამაჯანსაღებელი სპორტის პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობა სამცხე-ჯავახეთის მხარეში, ბავშვთა და მოზარდთა რაგბის განვითრება და პროფესიული რაგბის დამკვიდრება სამცხე-ჯავახეთის მხარეში.

ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება-კულტურის ცენტრი
(240,0 ათასი ლარი)

ა(ა)იპ ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება - კულტურის ცენტრში გაერთიანებულია ფოლკლორული, თეატრალური და საესტრადო მიმართულებები - სახელოვნებო წრეები, სახელოვნებო წრეები ფუნქციონირებს მხოლოდ დაბა ასპინძაში.

წლის განმავლობაში კულტურის ცენტრი ანხორციელებს მუნიციპალიტეტში მოსახლეობის კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში აქტიურად ჩაბმის მიზნით, ფოლკლორულ, საესტრადო, თეატრალურ სახალხო სხვა ღონისძიებების ჩატარებას, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის ხელშეწყობას; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლების დაცვასა და მოვლა-პატრონობას, ასევე არსებული სამუზეუმო ექსპონატების მოვლა-პატრონობა, მის რესტავრაციაზე ზრუნვას.

კულტურის ობიექტების მშენებლობა
(929,8 ათასი ლარი)

განსაზღვრულია არსებულ შენობას რეაბილიტაცია შესაბამისი სტანდარტების შესაბამისად, კერძოდ სახურავის შეცვლა, რეაბილიტაცია, ფასადის, შიდა სარემონტო სამუშაოების ჩატარება და ეზოს კეთილმონყობა,

ა(ა)იპ ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკა
(95,0 ათასი ლარი)

პროგრამის მიზანია ყველა ასაკის მკითხველის საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და ბიბლიოგრაფიული მომსახურება. ბიბლიოთეკის მომხმარებელთა მოთხოვნების, ინტერესებისა და პროფესიული მოთხოვნილების შესწავლა და ანალიზი, მათი მომსახურებისთვის სათანადო პირობების შექმნა და ინტერესების სრულად და ხარისხიანად დაკმაყოფილება. საბიბლიოთეკო ფონდებისა და სხვა რესურსების სრულად და ეფექტურად გამოყენება. მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში შემავალ სოფლებში მკითხველთა საბიბლიოთეკო მომსახურების კოორდინაცია, ქართული კულტურის განვითარებისათვის გარემოს შექმნა, ეროვნული ფასეულობების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილის დამკვიდრება და მისი როლის განმტკიცება, საზოგადოების კულტურული და სოციალური თვითშეგნების ესთეტიკური განვითარების სრული ხელშეწყობა. საზოგადოების და ხელოვნების სფეროში მოღვაწეთა ურთიერთდამოკიდებულების სტიმულირება, ხელოვნების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესების გაღვივება. მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ბიბლიოთეკით სარგებლობის ხელმისაწვდომობას, ყველა ასაკის დაინტერესებულ პირთათვის.

სამუსიკო სკოლა
(160.0 ათასი ლარი)

სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საესტრადო და გიტარის შემსავლელი კლასები. სკოლაში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 130 ბავშვი. დასაქმებულთა რაოდენობა 16 თანამშრომელს, პროგრამის ფარგლებში სკოლა ახორციელებს კულტურის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლებას.

სკოლის მიზანია მოსწავლეებს მისცეს დაწყებითი მუსიკალური განათლება, აზიაროს მუსიკალური ხელოვნების საფუძვლებს, გააცნოს როგორც ქართულს, ასევე მსოფლიო ხელოვნების ნიმუშებს, შეაყვაროს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ასევე, კონკურსების, ფესტივალების და სხვა აქტივობების საშუალებით, გამოავლინოს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეები, ჩამოუყალიბოს ესთეტიკური გემოვნება და აღზარდოს აქტიური და ინტელექტუალური მსმენელი. ასევე პროგრამის მეშვეობით ხორციელდება სკოლაში კულტურული ღონისძიებების ორგანიზება.

ახალგაზრდული ორგანიზაციების დაფინანსება
(150, 0 ათასი ლარი)

პროგრამა ითვალისწინებს ასპინძის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, სახალხო დღესასწაულების ორგანიზებას, გასართობი-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას; კულტურული, ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსებას; წარმატებული შემოქმედებითი ახალგაზრდებისა და ჯგუფების წახალისებას; კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას; კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას; მოსწავლე-ახალგაზრდებში ცნობიერების დონის ამაღლებას, წიგნიერების, კულტურული მემკვიდრეობის, გარემოს დაცვის და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის კუთხით კულტურული და შემოქმედებითი აქტივობების ორგანიზებას, ახალგაზრდული იდეების მხარდაჭერას მუნიციპალიტეტის სამომავლო განვითრებისათვის, ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობებში ჩართულობას, ახალგაზრდების მოტივაციის გაზრდას, საგანმანათლებლო ღონისძიებებში აქტიური ჩართვასა და წახალისებას, ახალგაზრდებში სასცენო ხელოვნებისა და თეატრის პოპულარიზაციას, ასევე მოიცავს სხვადასხვა კულტურული, საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზებას.

ახალგაზრდებში მოტივაციის გაზრდა, რათა სამომავლოდ უფრო მეტი მონდომებით, მეტი რაოდენობით და გაუმჯობესებული ხაარისხით იყვნენ წარმოდგენილები ამა თუ იმ კულტურულ, თუ შემოქმედებით კონკურსებზე. ახალაზრდების ინტელექტუალურ-შემეცნებით უნარების გაზრდას. მოზარდ ახალგაზრდებში პატრიოტული გრძნობისა და სულისკვეთების ამაღლებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მასწავლებლის ეროვნული დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებასთან დაკავშირებით ერთჯერადი ფინანსური დახმარება 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

ასევე განხორციელდება ასპინძის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სტუდენტი დედების, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების, წარმატებული სტუდენტების და ერუდირებული ახალგაზრდების ფინანსური. ამ პროგრამით განსაზღვრულია ეროვნულ ინტელექტ - ჩემპიონატ „ეტალონი“-ში გამარჯვებულ მოსწავლეთა წახალისება.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
(839, 1 ათასი ლარი)

მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა
(235, 5 ათასი ლარი)

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის, სამედიცინო სტატისტიკური მასალის მოპოვება და წარდგენა „დკსჯე ცენტრში“, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა, პრევენციული ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას, გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ინფექციათა კონტროლისა და პროფილაქტიკის,სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა და შერჩევითი კონტროლის განხორციელება. წყლის სანიტარიისა და ჰიგიენის რუტინული მონიტორინგი ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ტუბერკულოზისა და „C“ ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება...

სოციალური უზრუნველყოფვა
(60,0 ათასი ლარი)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობა მოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მზრუნველობა მოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა
(60,0 ათასი ლარი)

ასპინძის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღეში ერთჯერადად კვებას უფასო სასადილოში.

სოციალურად დაუცველი, გადახდის უუნარო მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ხარჯები, ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამა
(120, 0 ათასი ლარი)

პროგრამის მიზნობრივი მიმართულებაა ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით ან კერძო სადაზღვევო პოლისით არასრულად დაფინანსების გარეშე დარჩენილი მოქალაქეების ქირურგიული ოპერაციების ღირებულების დაფინანსება; სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ასპინძის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება.

ახალდაბადებულ ბავშვთა დახმარების პროგრამა
(40,0 ათასი ლარი)

პროგრამის მიზნობრივი მიმართულებაა დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ბავშვთა ოჯახების მატერიალურ და მორალური სტიმულირება.

ვეტერანთა და დევნილთ სარიტუალო ხარჯები
(2,0 ათასი ლარი)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები „ვეტერანისა და დევნილის სტატუსის მქონე გარდაცვლილი მოქალაქეების ოჯახების თანადგომა სარიტუალო თანხის დაფარვაში.

სოციალური დახმარებები
(341,1 ათასი ლარი)

პროგრამის ფარგლებში მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მებრძოლ ომისა და სამხედრო ძალების შშმ პირთა, ტერიტორიული მთლიანობისათვის და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე დაღუპულთა ოჯახებისათვის, მკვეთრად გამოხატული მხედველობის შშმ სტატუსის მქონე პირთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა, ხანდაზმულთა (ასი და ას წელზე მეტი) მოქალაქეთა, დედ-მამით ობოლ არასრულწლოვანთათვის, შშმ სტატუსის მქონე რეინტეგრაციაში მყოფ არასრულწლოვანთა, მინდობით აღზრდაში და მეურვეობაში მყოფი პირების ერთჯერადი ფინანსური დახმარება; ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა სამდიცინო მომსახურების

თანადაფინანსება, 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება, შშმ პირთა სამედიცინო-სააფთიაქო მომსახურების თანადაფინანსება, დიალეზზე მყოფთა და ჰეპატიტით დაავადებულ პირთა ფინანსური დახმარება, კორონოგრაფია, მრტ, კტ, პლევნომია, იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება.

ა(ა)იპ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრი
(40,0 ათასი ლარი)

პროგრამის ფარგლებში ცენტრი უზრუნველყოფს შშმ პირთა ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას; ,,ცენტრის“ საქმიანობა ამჟამად გათვლილია ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 10 საშუალო თუ მსუბუქი ხარისხის ინტელექტუალური შეზღუდვის, განვითარების თავისებურებების მქონე მოზარდსა (12 წლიდან) და ახალგაზრდაზე. ისინი ადაპტირებულ გარემოში იღებენ მონაწილეობას მეცადინეობებში სამკურნალო პედაგოგიკის მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული ინდივიდუალური და ჯგუფური აბილიტაცია-რეაბილიტაციის გეგმის შესაბამისად, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს ფუნქციონალურ-სოციალური, საყოფაცხოვრებო და სახელობო/პროფესიული უნარების განვითარებას.

პროგრამის მიზანია: ასპინძის მუნიციპალიტეტში განახორციელოს შშმ მოზარდთა და ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაცია.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები
(4 313,3 ათასი ლარი)

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზრვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება.

განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, სესხის მომსახურებას და ვალების დაფარვის ხარჯებს.

კანომდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა გასაცემლების ანაზღაურება

2024 წლის განმავლობაში ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა ანაზღაურება გაიცმა მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 328,0 ათასი ლარი, მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 176,7 ათასი ლარი;

ბ) ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის 151,3 ათასი ლარი.

სარეზერვო ფონდი

2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 58,9 ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

დაინტერესებულ პირს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სრული ვერსიის ნახვა შეუძლია იახილის სსიპ საკანონმდებლო „მაცნეს“ ვებ.გვერდზე port.ge-ზე

„მესხური ფოლკლორის“ წარდგინება ასპინძის საბავშვო ბიბლიოთეკაში

მესხეთი – საქართველოს კარიბჭე, მისი წარსული, მომავალი და მდიდარი ისტორიაა. ძნელად თუ მოიძებნება საქართველოში მხარე, რომელსაც ამდენი ტანჯვა, სისხლისღვრა, სარწმუნოების გადარჩენისათვის ბრძოლა გადაეტანოს, რამდენიც მესხეთმა გადაიტანა. მიუხედავად ამისა, ათას ჭირვარამგამოვლილმა მესხეთი ვერ ვერ ... ფართო საზოგადოებისათვის, ასევე ფოლკლორის მკვლევართათვის. ეს დიდი სიცარიელე კი მნიშვნელოვნად ამოავსო გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორმა. საბედნიეროდ დღეს ჩვენ გვაქვს საკმაოდ დიდი გამოცემა – „მესხური ფოლკლორის“ ორტომეული, ქართველი ხალხის საგანძური, ჩვენი ისტორია, ჩვენი გუშინდელი დღე. ამ მასალის გამომცემლის შრომა და ღვაწლი შეუფასებელია. ეს არის ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში, უბნიდან უბანში მოპოვებული მესხური ფოლკლორის მარგალიტები. გამომცემელ-რედაქტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ საქმეში მან აქტიურად გამოიყენა ყველა იმათი შესაძლებლობა, ვისაც იოტისოდენა შეხებაც კი ჰქონდა მესხურ ფოლკლორთან. განსაკუთრებით დიდძალი მასალა იქნა მოძიებული საქართველოს მუზეუმებში, უნივერსიტეტებში, არქივებში, XIX-XX საუკუნეების ქართულ პერიოდულ გამოცემებში, დეპორტირებულ მაჰმადიან მესხებში, ფოლკლორის ეროვნულ ცენტრსა თუ თვით მოსახლეობაში, რომლებიც რუდუნებით ინახავდნენ მათ წინაპართა მიერ ჩაწერილ შესანიშნავ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს.



ლილმა მესხეთმა მაინც შეძლო და დღემდე მოიტანა თავისი თვითმყოფადი კულტურა, ტრადიციები; მათ შორის შემოინახა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, რომელნიც, ფაქტიურად, მიუწვდომელი იყო როგორც

21 თებერვალს ასპინძის სამუსიკო სკოლაში ჩატარადა ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილების მიერ მომზადებული ღონისძიება – წიგნის – „მესხური ფოლკლორის“ I-II ტომების წარდგინება, რომელსაც უძღვებოდა ამავე განყოფილების ბიბლიოთეკარი ნელი ლონდარიძე, რომელმაც საინტერესოდ ისაუბრა ორივე ტომის მნიშვნელობაზე ქართული ფოლკლორის განვითარების საქმეში. ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა გააკეთა მთავარი ბიბლიოთეკის უფროსმა ბიბლიოთეკარმა ნუნუ ბუჩუკურმა.

წიგნების რედაქტორ-გამომცემელმა ავთანდილ ბერიძემ ვრცლად ისაუბრა ორივე ტომზე მუშაობის ათი წლის განმავლობაში არსებულ პრობლემებზე, იმაზე, თუ ვისი ხელშეწყობითა და დახმარებით შეძლო როგორც წარმოუდგენლად ვრცელი მასალის, ასევე დაფინანსების მოძიება და მისი საზოგადოების წინაშე გამოტანა. აქვე აღნიშნა, რომ წიგნის მესამე ტომი ძირითადად მომზადებულია და უახლოეს მომავალში მოხდება მისი გამოცემა (მესამე ტომში ძირითადად შევა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები – ზღაპრები, წეს-ჩვეულებები, მესხური გამონათქვამები, ანდაზები, გამოცანები, საბავშვო თამაშები).

„მესხური ფოლკლორის“ ორტომეულის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ვრცლად და საინტერესოდ ისაუბრა მეორე ტომის რეცენზენტმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მერაბ ბერიძემ, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, ასპინძის საჯარო სკოლის პედაგოგმა თინათინ წითლანაძემ, სამუსიკო სკოლის დირექტორმა ნათია ასპანიძემ, სახალხო მთქმელმა მარინა გოგნაძემ. ასევე აზრი გამოთქვეს ამ წიგნებში შესულმა, აწ გარდაცვილი სახალხო მთქმელების ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა ლელა ფერაძემ, ლამზირა მამულაიძემ, მათე და მანანა ზედგინიძეებმა.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ასპინძისა და ოთის საჯარო სკოლიების მოსწავლეები ნიკა ნარიმანიძე, საბა აბულაძე, ასპინძის კულტურის ცენტრთან არსებული ვაჟთა ანსამბლი „წუნდა,“ ივერიის საჯარო სკოლასთან არსებული ბავშვთა გუნდი „ვარძია“ (ხელმძღვანელი ნუკრი ღორჯომელაძე).

დასასრულს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ და მთავარმა ბიბლიოთეკამ ავთანდილ ბერიძეს გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები.

ნინო ბერიძე,
ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის
დირექტორი

სპორტი

გამარჯვებას გილოცავთ!

ახლახან ქ. ახალციხეში გაიმართა სასკოლო ოლიმპიადის ეგიდით რეგიონული პირველობა ფრენბურთში, სადაც ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის ფრენბურთელ გოგონათა გუნდმა გაიმარჯვა. რომელმაც წარმატებით გაიარა პირველი ეტაპი მუნიციპალიტეტის პირველობაზე, დაიკავა პირველი ადგილი და რეგიონულ პირველობაზე მონაწილეობის უფლებაც მოიპოვა. აქაც წარმატებით იასპარეზა და 6 მუნიციპალიტეტს შორის დამსახურებული პირველი ადგილი მოიპოვა (პედაგოგი თემურ ბერიძე, დირექტორი გიორგი კაველიძე).

პაატა ქავთარაძე

საანგარიშო კონფერენცია

16 თებერვალს ასპინძის მთავარმა ბიბლიოთეკამ ჩაატარა მკითხველთა საანგარიშო კონფერენცია (მომხს. მთავარი ბიბლოთეკის უფ. ბიბლიოთეკარი ნუნუ ბუჩუკური), რომელიც გაალამაზა ლიტერატურულმა კომპოზიციამ „ვარიაციები სამშობლოს თემებზე„. განხილული იქნა მოქმედი ბიბლიოთეკების მიერ გასული წლის პერიოდში გაწეული მუშაობა. წლის განმავლობაში ბიბლითეკები მოემსახურა 1501 მკითხველს და გაიცა 21 875 ერთეული დოკუმენტი. ჩატარდა მასობრივი ღონისძიებები.

ლიტერატურულ კომპოზიციაში მონაწილეობდნენ ასპინძის საჯარო სკოლის IV-X კლასის მოსწავლეები. მუსიკალურად გააფორმა კულტურის ცენტრის თანამშრომლებმა.

კონფერენციას ესწრებოდა როგორც მკითხველები, ასევე მოსწავლეთა მშობლები, პედაგოგები, მერიის წარმოამადგენლები.

იმ დღეს ბიბლიოთეკას შეემატა კიდევ 29 ახალი მკითხველი და გაიცა 51 წიგნი.

მანანა ზედგინიძე
მთავარი ბიბლიოთეკის დაკომპლექტება-დამუშავების ბიბლიოთეკარი

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია